



სარჩევი



რა არის ახალი	2
ავტომატური ფასდაკლება (საჩუქარი დაბალი ფასის მიხედვით)	2
ავტომატური ფასდაკლება (ყოველ შემდგომ ნივთზე განსხვავებული %-ით ფასდაკლება).....	3



გასწორებული შეცდომები.....	4
----------------------------	---



სხვა მოდიფიკაციები	4
--------------------------	---

ბალანსის რელიზი_1.3.8.2



14.05.2024



რა არის ახალი

ავტომატური ფასდაკლება (საჩუქარი დაბალი ფასის მიხედვით)

პროგრამაში დაემატა ავტომატური ფასდაკლების ახალი პირობა - საჩუქარი დაბალი ფასის მიხედვით, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრო ერთი ტრანზაქციის ფარგლებში, კონკრეტული რაოდენობის შენაძენზე რა რაოდენობა იყოს საჩუქრად. საჩუქარი განისაზღვრება ტრანზაქციაში ყველაზე დაბალფასიანი პროდუქტებით.

მთავარი	საჩუქარი	დამატებითი პირობები	დამატებით
---------	----------	---------------------	-----------

ფასდაკლების ტიპი

პროცენტი	თანხობრივი	სპეციალური ფასი	საჩუქარი	ქულების დარიცხვა	დოკუმენტის თანხის დამრგვალება
----------	------------	-----------------	----------	------------------	-------------------------------

მიუთითეთ საჩუქრების სია შესაბამის ჩანართზე ლოიალურობის ბარათის ტიპი:

ფასდაკლების პირობა

გაყიდვის თანხაზე	გაყიდვის რაოდენობაზე	საჩუქარი დაბალი ფასის მიხედვით	უპირობოდ
------------------	----------------------	--------------------------------	----------

მინიმალური რაოდენობა:

საჩუქრის რაოდენობა:

საჩუქრების დაჯამება:

აღნიშნული ფასდაკლების გამოსაყენებლად, ავტომატური ფასდაკლებების ცნობარში უნდა დაემატოს ახალი პირობა- საჩუქარი დაბალი ფასის მიხედვით, რომელიც მოთავსებულია მთავარ ჩანართში, საჩუქრის ქვესისტემაში.



ფასდაკლების პირობაში მინიმალური რაოდენობა აღნიშნავს ტრანზაქციაში პროდუქციის მინიმალურ რაოდენობას, რომლის შემდეგაც ნომენკლატურა უნდა გაიცეს საჩუქრად, ხოლო საჩუქრის რაოდენობა განსაზღვრავს მინიმალური რაოდენობის პირობის დაკმაყოფილების შემდეგ რა რაოდენობა გაიცეს საჩუქრად.

თუკი ალაში “საჩუქრების დაჯამება” ამორთულია, მინიმალური რაოდენობის პირობის დაკმაყოფილების შემდეგ ნებისმიერ შემთხვევაში საჩუქრად გაიცემა მხოლოდ საჩუქრის რაოდენობის ველში მითითებული რაოდენობა, ხოლო თუკი ეს ალაში ჩართულია საჩუქრის რაოდენობა დაჯამდება ერთ ტრანზაქციის ფარგლებში, ყოველი მინიმალური რაოდენობის ციკლის შესრულებისას.

საჩუქრად ავტომატურად აღიარდება ყველაზე დაბალფასიანი პროდუქცია.

ავტომატური ფასდაკლება (ყოველ შემდგომ ნივთზე განსხვავებული %-ით ფასდაკლება)

ავტომატურ ფასდაკლებებში, პროცენტული ფასდაკლების ტიპში დაემატა პოზიციების მიხედვით ფასდაკლება.

აღნიშნული ფასდაკლება საშუალებას იძლევა, დოკუმენტში არჩეული პოზიციების მიხედვით განისაზღვროს ფასდაკლების პროცენტი.

პოზიცია	პროცენტი
2	10.00
3	20.00

სქრინზე მითითებული ანყობით ფასდაკლება გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტში არჩეული იქნება მინიმუმ 2 ნომენკლატურა.

აქედან მეორე დაბალფასიან ნომენკლატურაზე გავრცელდება 10%-იანი ფასდაკლება, მესამეზე და ზემოთ კი - 20%-იანი.





გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია მომწოდებლის ბარათზე საშემოსავლო განაკვეთის ჩარჩენის ხარვეზი, როდესაც ჩართულია ხელშეკრულებებით აღრიცხვა
- გასწორებულია წაშლილი ანგარიშ-ფაქტურის დოკუმენტის ფორმაზე ვიზუალურად გამოსახვის ხარვეზი
- გასწორებულია TBC ბანკში უცხოური ვალუტის გადარიცხვის სერვისის შექმნის ხარვეზი
- გასწორებულია ვალის კორექტირების დოკუმენტში ანგარიშსწორების სტრიქონის დამატების ხარვეზი
- გასწორებულია დამატებითი ლიცენზიების გამოყენების ფუნქციონალი
- გასწორებულია პროდუქციის გამოშვება და რეალიზაციის დოკუმენტის საფუძვლად შექმნილ რეალიზაციის კორექტირების დოკუმენტში ნომენკლატურის შინაარსის შევსების ხარვეზი
- გასწორებულია ნაშთების სერვისის ხარვეზი, როდესაც ნომენკლატურაზე არაა ნაშთი თუმცა არის რეზერვი
- გასწორებულია შეზღუდული მომხმარებლისთვის ძირითადი საშუალების ჩამოწერის რეგისტრებზე წვდომის ხარვეზი
- გასწორებულია წარმოების ხელფასში საპენსიო და საშემოსავლო თანხების დუბლირების ხარვეზი
- გასწორებულია შესყიდვისას უკუდაბეგვრის დღგ-ს პროპორციული ჩათვლის ხარვეზი, როცა შესყიდვა ხორციელდება ზოგადი კლასის ანგარიშზე
- გასწორებულია ვებზე სალარო აპარატის ცნობარის გახსნის ხარვეზი
- გასწორებულია შვილობილ ფილიალზე ქვებედნადების განწერის ხარვეზი



სხვა მოდიფიკაციები

- საცალო გაყიდვისას პროდუქციის ნაშთის რეალიზაცია გამოშვების გარეშე
- კონტრაგენტზე დიპლომატის სამართლებრივი ფორმის მითითების შესაძლებლობა
- სასაქონლო ოპერაციების გადატარებისას რეალიზაციის კორექტირებაში თვითღირებულების გადავსების შესაძლებლობა
- ავტომობილის ცნობარის შეტვირთვის შესაძლებლობა ნომენკლატურასთან ერთად
- ძირითადი საშუალების ჩამოწერის დოკუმენტის დახვეწა
- შეკვეთა გადაადგილებისა და საქონლის გადაადგილების დოკუმენტებში, შერჩევად, მიმღები საწყობის ნაშთების გამოტანა
- Inventory ლიცენზიის მომხმარებლისთვის ანგარიშვალდებული პირის ოპერაციების გათვალისწინება

